


კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“



1 ქალთა ხმა

ქალი და რეგიონული განვითარება



2012

ქალთა ხმა
ქალი
და
დემოკრატია



ზამთარი
2012

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სახუმის“ ქუბნალი

გამოდის 2006 წლიდან

ნომრის თემა

ამომრჩეველ ქალთა ლიგა: თანამშრომლობა
ადგილობრივ ხელისუფლებასთან

თემა

შემაჯავებელი ნომრები:

ადვოკატირების ჯგუფების მუშაობის ახალი

ასპექტები ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში,

ზუგდიდში, ხობში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში

NED

ჟურნალი გამოდის დემოკრატიის ეროვნული ფონდის (ვაშინგტონი) მხარდაჭერით

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ორგანიზაცია NED-ის მოსაზრებებს

ქალებს სჭირდებათ დემოკრატია, მაგრამ დემოკრატიისთვისაც აუცილებელია ქალთა მონაწილეობა

ალლა გამახარია
კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
თავმჯდომარე

ეს ახალი კი არა, დიდი წარსულის მქონე ჟურნალია.

ამ ჟურნალს უძღოდა ჟურნალები და გაზეთები, რომლებიც 2006 წლიდან გამოდიოდა.

რატომ - ქალი და დემოკრატია?

იმიტომ, რომ დემოკრატია - ხალხის მმართველობაა. ქალები კი - ხალხის ნახევარზე მეტს შეადგენენ.

იმიტომ, რომ ქალებს სჭირდებათ დემოკრატია, მაგრამ დემოკრატიისთვისაც აუცილებელია ქალთა მონაწილეობა.

იმ დროიდან, როცა ქალები ხმის უფლებისათვის იბრძოდნენ, ვიდრე დღემდე, როცა მთელ მსოფლიოში ცდილობენ ქალთა მონაწილეობის გაზრდას სახელისუფლებო ორგანოებში, ქალები ყოველთვის მხარს უჭერდნენ დემოკრაციას. მათ იციან, რომ დემოკრატიული გარდაქმნების ხელშეწყობა ძირითადი საშუალებაა ქალთა ინტერესების დაცვისათვის, პოლიტიკაზე გავლენისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის.



ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგისთვის

კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ დაიწყო პროექტის ახალი ეტაპი

2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 30 სექტემბრამდე კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED, ვაშინგტონი) ხელშეწყობით ახორციელებს პროექტს „ამომრჩეველ ქალთა ლიგის აქტიურობის გაზრდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მოსამზადებლად.“

პროექტის გეოგრაფია მოიცავს დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონს (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, გურია).

პროექტის მიზანია:

- ამომრჩეველ ქალთა ლიგის გავლენის გაზრდა და დიალოგის გაფართოება საქართველოს 8 ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებთან მოსახლეობის პრობლემების გადასაჭრელად

- ქალთა ელექტორატის ინფორმირებულობისა და სამოქალაქო აქტივობის გაზრდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის

პროექტის ფარგლებში კიდევ უფრო გააქტიურდება ამომრჩეველ ქალთა ლიგის მუშაობა დასავლეთ საქართველოს 8 ქალაქში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ფოთი, ზუგდიდი, ხობი, ოზურგეთი, ბათუმი). ჩატარდება ღონისძიებები კლუბების წევრებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობით. მათ შორის:

- ამომრჩეველ ქალთა კლუბების შეხვედრები ყოველთვიურად, სადაც მონაწილეობას მიიღებს 30 წევრი და განიხილება საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები, საკანონმდებლო ცვლილებები და ა.შ.;
- ჩატარდება ერთი ტრენინგი ადვოკატირების საკითხებში, რომლის მიზანია ქალთა შესაძლებლობების გაზრდა ადგილობრივ დონეზე;
- კლუბებში მოქმედი ადვოკატირების ჯგუფის გარდა შეიქმნება პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფები;
- ლიგის წევრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქალაქების საკრებულოს სხდომებში. კლუბების მიერ წინასწარ შემუშავებული პლატფორმის მეშვეობით მოხდება შემდეგი საკითხების ადვოკატირება: მეტი ქალი კანდიდატის წარმოდგენა საარჩევნო სიებში, ჯანდაცვის, განათლების და სხვა პრობლემები;
- კლუბებში ჩატარდება ვორკშოპები დებატების წარმართვისა და ლიდერობის საკითხებზე;
- იგეგმება თითო დებატი, სადაც მონაწილე იქნებიან ადგილობრივი ხელისუფლების, მედიისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები;
- საინფორმაციო საქმიანობა მოიცავს 8 ტელეგადაცემას, 6 რადიოგადაცემას და ჟურნალის „ქალთა ხმა - ქალი და დემოკრატია“ 4 ნომრის გამოცემას;
- შეიქმნება მონაცემთა ბაზა ლიდერ ქალთა შესახებ, რომელიც მუდმივად განახლდება მთელი პროექტის განმავლობაში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალთა დემოკრატიული შესაძლებლობების გაზრდას, მომავალი საპარლამენტო არჩევნების პოზიტიურ გავლენას გენდერულ სურათზე, ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას.

„ძალიან სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ, რომ კლუბის საქმიანობა გრძელდება. საინტერესო წელიწადი გველოდება. კლუბი გააქტიურდება ადვოკატირების თვალსაზრისით. ეს ძალზე სასიხარულოა, რადგან აქტიურმა ქალბატონებმა ნამდვილად წვლილი უნდა შეიტანონ თავიანთი ქალაქისა თუ დასახლების პრობლემების მოგვარებაში. კლუბი გააქტიურდება წინასაარჩევნოდ, რომ მხარი დაუჭიროს ქალბატონებს პოლიტიკურ და დემოკრატიულ წინსვლაში.“

ოიონა

გოჯიშვილი

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი

შესვენება ადგილობრივი თვითმმართველობათა

ადგილობრივ ხელისუფლებაზე დამოკიდებული, რამდენად დაუჭერენ ქალებს მხარს და აქტიურად ჩართავენ დემოკრატიულ პროცესებში

ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში სისტემატურად ხვდებიან რვა ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

სახელისუფლებო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა უსათუოდ ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებში ქალთა აქტიურ ჩართვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოთა ხელმძღვანელებს ასეთი მოსაზრებები გააჩნიათ:

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგანი:

„ქალის ჩართვა პოლიტიკაში აუცილებელია, რადგან ქალი ოჯახის პრობლემებს უკეთ აღიქვამს და ცდილობს მათ მოგვარებას. ჩვენს საკრებულოში ერთი დეპუტატი ქალი იყო, მაგრამ შემდეგ, როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა, მეორე დეპუტატი ქალი ავირჩიეთ. მართალია, ეს არ არის მაღალი შედეგი, მაგრამ მომავალში, ქალებისა და საზოგადოების აქტიურობით, საკრებულოში მეტი ქალი იქნება“.



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა სალარეიშვილი:

„ქალებს იმდენი ოჯახური პრობლემა აქვთ, რომ მათ ცოტა დრო რჩებათ პოლიტიკისთვის. მაინცადამაინც ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ ქალი საზოგადოებრივ საქმეებში იყოს ჩართული. პოლიტიკა დიდ დროსა და ნებისყოფას მოითხოვს - თუ ქალის ჩართვა აუცილებელია, მაშინ მას ოჯახში და საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს“.



2010 წლის 6 ივლისს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ფონდი „სოხუმის“ სახელზე გამოგზავნილი ოფიციალური მონაცემების მიხედვით:

საქართველოს მასშტაბით, 84 საკრებულოში არჩეული 169 ქალიდან ყველაზე მეტი, 8 ქალი (5 მაჟორიტარი და 3 პროპორციული სიით) არჩეულ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 7-7 ქალი - თბილისსა და ონში, 6 - თერჯოლაში, 5-5 ქალი - ხობში, ჩოხატაურში, ბაღდათში, ხარაგაულში, ადიგენში, ახალციხეში.

არც ერთი ქალი არ არჩეულა მცხეთის, ახალქალაქის და ხონის მუნიციპალიტეტებში.

ქუთაისი

25-მანდატიან საკრებულოში: მანანა კიკაბიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

საკრებულოს სოციალურ საკითხთა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის წევრი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

ირინა ივანეიშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

წყალტუბო

27-მანდატიან საკრებულოში: სანა ნაბიძე -

მაჟორიტარი, საქართველოს დემოკრატიული პარტია („თორთლაძე - დემოკრატები“)

- საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის წევრი - სამანდატო, საპროცედურო, ეთიკისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის წევრი



ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გელენიძე:

„ჩვენს საკრებულოში 22 წევრია და მათ შორის, სამწუხაროდ, არც ერთი ქალი არ არის. მიმაჩნია, რომ ქალები აქტიურად უნდა იყვნენ პოლიტიკაში, რადგან ისინი ქალური ალლოთი გრძნობენ და ამჩნევენ იმ პრობლემებს, რაც ანუხებთ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს და საერთოდ ოჯახს. ამაზე კაცმა შეიძლება ყურადღება არც გაამახვილოს. გენდერული სურათი ახლო მომავალში უსათუოდ შეიცვლება, ამის ყველა პირობა არსებობს.“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე:

„ქალის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში დამოკიდებულია მის ნება-სურვილზე, აქტიურობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ ჩვენს რიგებში აქტიურ და მიზანდასახულ ქალებს. ქალი ყველაფერს აკეთებს შვილის კეთილდღეობისათვის, ნებისმიერი დასახული მიზნის მიღწევას ცდილობს ყველა რესურსის ამოწურვამდე. ასეა ქალი საზოგადოებრივ ასპარეზზეც.“



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარია:

„ქალი შეიძლება ლიდერი იყოს როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებასა და პოლიტიკაში. ჩვენს საკრებულოში სრული დისბალანსია - მხოლოდ ერთია ქალი. ეს სხდომების დროს ერთგვარ დისკომფორტს გვიქმნის. ქალის ხედვა განსხვავებულია, ის უფრო ლმობიერია, დამთმობი, შორსმჭვრეტელი და, რაც მთავარია, დედაა, რაც მას აძლევს ძალას, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაჭრას და მიაღწიოს მიზანს. ქალი სადაცაა, იქ სიმშვიდე და სტაბილურობაა.“



სომე

არც ერთი ქალი არ არის 22-მანდატიან საკრებულოში.

სომე

31-მანდატიან საკრებულოში: **დალი ბერბანი** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ნუნა ძვარანი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი

მანანა კიტიანი - მაჟორიტარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი

მანანა შულანი - მაჟორიტარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი
- სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

ხატია ოჩიბაძე - მაჟორიტარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

ზუგდიდი

41-მანდატიან საკრებულოში: **დალილა ჩიქაძე** - მაჟორიტარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, განათლების და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი

შესვენებები აღნიშნავენ თვითმმართველობის

ადგილობრივ ხელისუფლებასა და არასამთავრობო
ორგანიზაციებს თანამშრომლობის შედეგად
შეუძლიათ ქალის როლის ამაღლება

*თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ივანე
სალინაძე:*

„ქალის ჩართულობა პოლიტიკაში აუცილებელია. ჩვენს საკრებულოში
ორი ქალბატონია. მათი აქტიურობის შედეგად შესაძლებელი ხდება ყოფითი
პრობლემების მოგვარება. ჩვენ ვისურვებდით აქტიური, ბრძოლისუნარიანი
ქალების მოსვლას როგორც საკრებულოში, ასევე პარლამენტში. იმედია,
გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა ფონდ „სოხუმთან“. თქვენი კვლევები
ხელს უწყობს ქალთა გააქტიურებას და ეს მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს
საპარლამენტო არჩევნების დროს.“

*ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო
მამეშვილი:*

„ყველა აქტიურ და ნიჭიერ ქალს შეუძლია დემოკრატიულ პროცესებში
ჩართვა. ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია ჩაატაროს
კვლევა, ოზურგეთში რამდენად აქტიურები არიან ქალები და ჩართულები
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკრებულოში სამი ქალი გვყავს.
შესაძლებელია, მეტიც იყოს, რისი იმედიც გვაქვს სამომავლოდ. რაც შეეხება
მერიის აპარატს, აქ გენდერული ბალანსი ნამდვილად დაცულია.“

შესვენება ფოთის საკრებულოში



შესვენება ოზურგეთის საკრებულოში



ფოთი

- 15-მანდატიან საკრებულოში:
მაგდალინა მინაბაძე - „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობის“ თავმჯდომარე
- საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე
- იურიდიულ სამანდატო და
საპროცედურო საკითხთა
კომისიის წევრი
- საფინანსო-სარევიზიო საკითხთა
კომისიის წევრი

- დარეჯან ცხვიტარიანი - „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობის“ წევრი
- სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

ოზურგეთი

- 31-მანდატიან საკრებულოში:
ირმა რობაქიძე - მაჟორიტარი
„ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“
- ფრაქცია უმრავლესობის წევრი
- განათლების, კულტურის,
სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,
ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის წევრი

- ირინე საჭანიანი - „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია უმრავლესობის წევრი
- განათლების, კულტურის,
სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა,
ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
- სამანდატო, საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიის
წევრი

- ლელა ნაცვალაძე - ეროვნული
საბჭო
- განათლების, კულტურის,
სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა,
ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის წევრი
- საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა
კომისიის წევრი



თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯუმბერ კახიძე:

„გენდერული თანასწორობის მხრივ 2010 წლის არჩევნებით ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ. წინა წლებში საკრებულოში არც ერთი ქალი არ გვყავდა და ახლა 5 ქალი ჩვენ გვერდით. ვიტყვით, რომ ქალები აბალანსებენ სიტუაციას და ჩვენც უფრო მობილიზებულები გავხდით. ქალების ასე გააქტიურება არასამთავრობო ორგანიზაციების დამსახურებაა. ფონდი „სოხუმის“ წვლილი თვალსაჩინოა, რადგანაც საკრებულოს ერთი წევრი არის ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი“.

ბათუმი

25-მანდატიან საკრებულოში:
ეკატერინე თარბამაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- საფინანსო კომისიის თავმჯდომარე

ნაზი ფუტყარაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მანანა ილურიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი

მარიზა აბაშიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი
- იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი

ნაზიბოლქა ქოშულაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
- ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი

მოამზადეს

გულნარა ლაიჩიაძე
პირინდა გვანცლავაძე

ამონარიდები უეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დასკვნითი ანგარიშებიდან

(2008 წლის საპრეზიდენტო, 2008 წლის საპარლამენტო და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები)

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისთვის.

2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს გენდერთან დაკავშირებული პირველი კანონია საქართველოში და მნიშვნელოვან ნაბიჯად ითვლება, ის არ მოიცავს ქალების პოლიტიკაში გააქტიურების სპეციალურ ზომებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის ინიციატივა გენდერული

თანასწორობის შესახებ კანონში კვოტის შეტანის თაობაზე არ იქნა გათვალისწინებული.

ერთმანდატიან ოლქებში წამოყენებული კანდიდატების მხოლოდ 10,9% იყო ქალი, ხოლო პროპორციულ სიებში - 18,2%. ოცდათხუთმეტმა ქალმა მოხსნა კანდიდატურა არჩევნების დღემდე, ყველა მათგანი ოპოზიციური პარტიიდან იყო.

საქართველოს საკრებულოს 1,695 წევრიდან 169 იყო ქალი (10%), რაც წინა არჩევნების მაჩვენებელზე (11%) დაბალია.

ქალების რაოდენობა აშკარად განსხვავდებოდა პროპორციულ და მაჟორიტარულ ბიულეტენებში, რაც მიანიშნებს, რომ ქალებს უფრო რთულად მიაჩნდათ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა.

ქალები სათანადოდ არც საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალ დონეებზე არიან წარმოდგენილნი. ცესკოს 13 წევრს შორის მხოლოდ ერთია ქალი. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების 52 პროცენტს შეადგენენ ქალები, მაგრამ ცესკოს ინფორმაციით, მათ თავმჯდომარის პოზიციის 20 პროცენტი, ხოლო მოადგილის 23 პროცენტი უკავიათ.

არჩევნების დღეს ქალები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების 67 პროცენტს შეადგენენ და თავმჯდომარის პოზიციის 52 % უკავიათ.

გამოცდილება - პრაქტიკისთვის

ჩვენთვის საინტერესო იყო იმის გაცნობა, თუ როგორ იქმნებოდა შვედეთში ქალთა მოძრაობები, როგორ დაარსდა ქალთა პოლიტიკური სკოლა, როგორ იცავდნენ ქალები თავიანთ უფლებებს...

ოქროსფერი შემოდგომის დღეებში ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა ლიგის წარმომადგენელთათვის თითოდღიანი ვორკშოპები ჩატარდა თემაზე „გენდერული ხედვა მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში“.

ვორკშოპი გაიმართა შვედეთის ქალთა ფონდი Kvinna till Kvinna-ს მხარდაჭერით და მას უძღვებოდა მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი ლექტორი, ურბანული და რეგიონული კვლევების ცენტრის, ორებროს უნივერსიტეტის წარმომადგენელი გუნ ჰედლუნდი.

ვორკშოპში მონაწილეობა მიიღეს რვავე კლუბის წარმომადგენლებმა.

19 ოქტომბერს წყალტუბოს, ხონისა და ქუთაისის ქალთა კლუბის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ქუთაისში (15 მონაწილე).

20 ოქტომბერს ვორკშოპი ჩატარდა ფოთში - ხობის, ფოთისა და ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებისთვის (14 მონაწილე).

21 ოქტომბერს ბათუმში ჩატარებულ ვორკშოპში

რებულ ვორკშოპში ოზურგეთისა და ბათუმის ქალთა კლუბის 22 წევრი მონაწილეობდა.

მონაწილეთა შორის იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები, დეპუტატობის ყოფილი კანდიდატები, სტუდენტები, მედიის წარმომადგენლები, ქალბატონები, რომლებიც სამომავლოდ აპირებენ არჩევნებში მონაწილეობას.

გუნ ჰედლუნდმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში გენდერულ ასპექტებზე (მშობლიური ორებროს მაგალითზე - 1900-2011წლები).

საინტერესო იყო თემატიკა - კანონმდებლობა, წესები, ნორმები, ურთიერთობა მონინავე იდეების მქონეთა და აუტსაიდერთა შორის, შესაძლებლობათა სარკმელი და სხვა.

სლაიდ-შოუზე წარმოდგენილმა დოკუმენტურმა ფოტომასალამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მონაწილეებზე.

ლექციური ნაწილი დაეთმო თე-

მას - ქალისა და მამაკაცის გენდერული როლები.

გუნ ჰედლუნდი მონაწილეებს პირველი მონინავე იდეების მქონე ქალბატონზე - ჰანა ლინბერგზე ესაუბრა - ფაბრიკის გაუთხოვარი მეპატრონე, რომელიც ქალაქის საბჭოში იქნა არჩეული 1910 წელს.

გუნ ჰედლუნდი: „გენდერული თანასწორობის მისაღწევად შვედეთში ერთი საუკუნის წინ დაიწყო ბრძოლა. ქალები აწყობდნენ აქციებს, დემონსტრაციებს. ყოველივე ამის შედეგად დღეს გენდერული ბალანსის თვალსაზრისით შვედეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა რუანდის შემდეგ.“

ქალბატონმა პროფესორმა ქალთა სოლიდარობის აუცილებლობაზე ისაუბრა და ვორკშოპის მონაწილეებსაც სწორედ ამისკენ მოუწოდა, მით უფრო, რომ კლუბები ამომრჩეველ ქალთა ლიგის განშტოებებია და ერთ დიდ საქმეს ემსახურებიან...

ყოველი გამოცდილება იმითაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ გამოიყენებ საკუთარ პრაქტიკაში. სწორედ ამას მიეძღვნა ვორკშოპის პრაქტიკული ნაწილი.

- რომელი პოლიტიკური პარტიები მიესალმებიან ქალთა მონაწილეობას თქვენს ქალაქში, ქალთაგან



ვორკშოპი ქუთაისში



ვორკშოპი ბათუმში



ვორკშოპი ფოთში

ვინაა ჩართული ადგილობრივ პოლიტიკაში წამყვან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, როგორია მათი როლი, ვის ხელწინაა მოსახლეობის პრობლემების გადაჭრა - ასეთი იყო პრაქტიკული სავარჯიშო.

ჯგუფურმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ ყველა პარტია მიესალმება ქალთა სიმრავლეს, თუმცა, რეალობა განსხვავებულია - ქალები ნაკლებად არიან პოლიტიკურ პარტიებში. საარჩევნო სიებშიც პირველ ადგილებს, ძირითადად, მამაკაცები იკავებენ.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ითქვამს, რომ კონსტრუქციულია...

ვორკშოპზე გამოიკვეთა ისიც, თუ რომელ ქალაქში რა დოზით მონაწილეობენ ქალები ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში.

ვორკშოპის მონაწილეები გაეცნენ იმ ქვეყნის გამოცდილებას, სადაც მიღწეულია გენდერული თანასწორობა და ეს ძალიან კარგად აისახება სოციალურ პოლიტიკაზე, ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გამოცდილების მიღება და მისი ეროვნულ ნიშანდებზე დამყნობა, მისი გამოყენება ლიგის ყოველი წევრის სურვილია ჩვენი მომავალი კეთილდღეობისათვის.

**მანანა
რეჟისორი**

„ჩემთვის სიახლე იყო ის, რომ წლების წინ შვედეთში ქალს ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდა.

უფრო მეტიც, ასეთი კანონი ყოფილა - თუ ქალი პედაგოგი იყო ან ფოსტაში მუშაობდა, არ უნდა გათხოვილიყო. ბევრი ქალი ოჯახის შექმნას დამოუკიდებლობას არჩევდა, თავისუფლებისკენ ისწრაფვოდა. შემდეგ შეიცვალა კანონი, რამაც დასაქმებულ ქალებს ოჯახის შექმნის შესაძლებლობა მისცა. ყველაზე მთავარი, რაზეც ვისაუბრეთ, იყო ის, რომ ქალებმა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რესურსები.“

ირმა ყახიძე

ბათუმის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი

„იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში იმაზე მეტი ქალი იყოს, ვიდრე დღეს არის, მარტო სურვილი არ კმარა, საჭიროა აქტიური მოქმედებები და ერთიანი ძალისხმევა.“

ნანა ყიყიანი
ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მოდერატორი

გენდერული თანასწორობა: საერთოლიანობა გენდერულ

საერთაშორისო გენდერული რეიტინგის **Global Gender Gap 2010** მონაცემებით, შვედეთი თანასწორობის სფეროში მსოფლიო ლიდერთა შორის ერთ-ერთია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინიციატივით შედგენილი ეს რეიტინგი თანასწორობის ხარისხს აფასებს ოთხ სფეროში: ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება და ჯანმრთელობა.

გენდერული თანასწორობა - ეს განსაკუთრებული თემაა, რომელსაც სასკოლო სწავლების დაწყებით სტადიებზე მუდმივად ეხებიან შემდეგი საფეხურისათვის მოსწავლეების მოსამზადებლად.

შვედეთში ბავშვის დაბადებასთან ან შვილად აყვანასთან დაკავშირებით მშობლებს ფასიანი შვებულება 480 დღის ხანგრძლივობით ეძლევათ. ბავშვის მოვლის დროს ფასიანი შვებულების უფლება აქვს როგორც მამას, ისე დედას. შვებულების აღება შეიძლება ნაწილ-ნაწილ: თვის, კვირის, დღე-ღამის და საათების მიხედვითაც კი. პირველი 390 დღის განმავლობაში მშობელთა დახმარების მაქსიმალურმა რაოდენობამ დღეში შეიძლება 910 კრონი (დაახლოებით 200 ლარი) შეადგინოს, დანარჩენ 90 დღეს - დღეში 180 კრონი.

თუ ტყუპები დაიბადნენ, მამას ეს შეღავათი 20 დღემდე უხანგრძლივდება. პირს, რომელიც შვილად იყვანს, უფლება აქვს, ისარგებლოს მშობლების შვებულებით შვილად აყვანის მომენტიდან ნახევარი წლის განმავლობაში.

2009 წელს შვედეთში, დისკრიმინაციასთან ბრძოლის სხვადასხვა სახის აქამდე არსებული სისტემის ნაცვლად, ომბუდსმენი დაინიშნა. ამასთან, აქამდე არსებული შვიდი ანტიდისკრიმინაციული კანონი დისკრიმინაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ ერთიანი კანონით შეიცვალა.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი ქალების წილი იზრდება. მუნიციპალურ და საოლქო დონეზე, ასევე სახელმწიფო მართვის ცენტრალურ ორგანოებში მმართველ პოსტებზე ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ - 52%. შვედეთის პარლამენტის თითქმის ნახევარი (45%) და ქვეყნის მთავრობაში მინისტრთა 46% - ქალია.

ოფიციალური სტატისტიკის ყველა მონაცემის შეკრება, ანალიზი და წარმოდგენა გენდერის გათვალისწინებით ხორციელდება.

გენდერული თანასწორობის პრინციპი, რაოდენობრიობის მხრივ, მამაკაცთა და ქალთა თანაბარ წარმომადგენლობაში გამოიხატება (50 / 50). სქესთა თანასწორობის თვისებრივი ასპექტი ნიშნავს ორივე სქესის ცოდნისა და გამოცდილების აქტიურ გამოყენებას პროგრესის მისაღწევად საზოგადოების ყველა სფეროში.

www.sweden.se/ru

„ქალბაბა მხარი უნდა დაეჭირთ ერთმანეთს“ - რუსულან კერვალიშვილი

საზოგადოების წინაშე ისევ დგას გენდერული პრობლემები.



ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ძალზე საინტერესო ფოტო გამოჩნდა, სადაც ასახულია იტალიელი პარლამენტარი ლიტია რონზული თავისი ჩვილით ხელში როგორ აძლევს ხმას ქალების დასაქმების სელმენციობას ევროპარლამენტის სხდომაზე სტრასბურგში.

ფოტომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. კომენტარები ქალთა უფლებების დაცვასა და ქალების გააქტიურების აუცილებლობას შეეხებოდა.

ქალთა გააქტიურებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის. ადრე რაც ტრადიციად მიიჩნეოდა საქართველოში, ახლა მას სტერეოტიპად აღიქვამენ, გარკვეული ღირებულებების გადაფასებამ ქალს საშუალება მისცა, უფრო მეტად გააქტიურებულიყო და სამზარეულოდან პოლიტიკაში გადმოენაცვლა.

24-25 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრისა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ჩატარდა საინფორმაციო ტური „ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერებისთვის“.

ტურში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, სამოქალაქო ორგანიზაციების, განათლების სფეროს, საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენელი ქალბატონები.

„ჩვენი სურვილი იყო, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს პირდაპირი კონტაქტები ჰქონოდათ აქტიურ ქალბატონებთან და ამით სამომავლოდ გაგვეძლიერებინა ურთიერ-

თობა მათ შორის,“ - განაცხადა სამოქალაქო განვითარების სააგენტოს დირექტორმა **ზვიად დევდარიანმა**.

ტურის მონაწილეები საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს **ზაია პატარაიას** შეხვდნენ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გენდერული საკითხები განიხილეს. კითხვა-პასუხებით გამოიკვეთა, თუ როგორ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისათვის ქალების, როგორც საზოგადოების ბირთვის, უფრო მეტი აქტიურობა. ცხარე დისკუსია გამოიწვია კანონმა ოჯახში ძალადობის შესახებ. შეკრებილთა განცხადებით, აღნიშნული კანონი დახვეწას საჭიროებს და ამ საკითხზე მუშაობას უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს.

„ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ ბევრ საკითხზე ვიმსჯელებთ. გავიგეთ სიახლეები, რომლებიც იგეგმება გენდერული თვალსაზრისით. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაამდიდრებს თითოეულ ჩვენგანს და პრობლემის გადაჭრის გზებსაც დაგვანახებს,“ - განაცხადა ახალციხის მედიაცენტრის ხელმძღვანელმა **ეკა კობახიძემ**.

ლია როინიშვილმა (დუშეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „კავშირი სამოქალაქო განვითარებისათვის“ დირექტორი) აღნიშნა: „პირველ დღეს

თავშეკავებული ვიყავი მოლოდინებსა და შედეგებზე საუბრისას, დღეს კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სასიამოვნო იყო ურთიერთობა ახალ ადამიანებთან. ველოდები მეგობრობის გაგრძელებას, პრობლემების მოგვარებას და სერიოზულ პროექტებში ჩართვას.“

მეორე დღეს ქალბატონებმა პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი და უზენაესი სასამართლო მოინახულეს, შეხვდნენ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ჩიორა თაქთაქიშვილს და პარლამენტის პლენარულ სხდომას დაესწრნენ, სადაც სამთავრობო საათი მიმდინარეობდა. **ჩიორა თაქთაქიშვილმა** ის შენიშვნები და რჩევები ჩაინიშნა, რაც სამომავლო მუშაობის პერიოდში, მისი განცხადებით, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

ტურის მონაწილეები ქალთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აგრეთვე საჯარო სამსახურში მომუშავე წარმატებულ ქალბატონებს შეხვდნენ და მათგან ინტერვიუები აიღეს.

ჩვენ რამდენიმე შეკითხვა დაგუსვით რუსულან კერვალიშვილს.

რუსულან კერვალიშვილი - პარლამენტის ვიცე-სპიკერი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე

- ქალბატონო რუსულან, როგორ მუშაობს გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო?

- საკონსულტაციო საბჭო პირველი ინსტიტუციონალური მექანიზმია საქართველოში, რომელიც შეიქმნა გაეროს განვითარების პროგრამის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ მხარდაჭერით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარლამენტის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლები და გენდერული საკითხების განხილვას და რეკომენდაციების შემუშავებას დიდ დროს უთმობენ.

ჩვენ რეგულარულად ვიკრიბებით და გენდერულ ჭრილში განვიხილავთ სხვადასხვა კანონპროექტს, მათ შორის შრომის კოდექსს, კანონპროექტებს ტრეფიკინგის, ოჯახური ძალა-

დობის, სტატისტიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. გავდივართ საქართველოს რეგიონებში, ვხვდებით ადგილობრივი მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მოსახლეობას. დიდ ყურადღებას ვუთმობთ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ პრობლემებს.

საბჭო ლობირებას უწევს გენდერულ საკითხებს, მაგრამ მხოლოდ ჩვენ ამ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ამისათვის.

- ხშირად გავიგონებთ, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ ეს ღირებულებები დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის. თქვენი აზრით, ქალს რა ადგილი უჭირავს ამ საქმეში?

- სამწუხაროა, როცა 21-ე საუკუნეში კიდევ გვინევს ქალის როლზე საუბარი. დღეს არაა ის დრო, როცა ქალს საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ განიხილავდნენ, თუმცა, ალბათ, ყველას გვახსოვს ის მომენტი, როცა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღებას პარლამენტში წინააღმდეგობა მაინც შეხვდა.

ქალებს ძალიან დიდი როლი აკისრია, როგორც ოჯახის, ასევე სახელმწიფოს სიძლიერეში. თუ, კაცების

აზრით, ქალზეა დამოკიდებული, როგორ იქნება ოჯახი, ასევე მასზეა დამოკიდებული, როგორ იქნება სახელმწიფო. და თუ ეს ასეა, მის უფლებებს ყველაზე მეტად ჭირდება დაცვა.

- ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღება წინგადდგმული ნაბიჯი იყო. თქვენი აზრით, არის თუ არა ეს კანონი უფრო მეტად დასახვენი?

- მოდით, ასე ვთქვათ: ყოველგვარი ძალადობა დაუშვებელია - ეს იქნება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური თუ ეკონომიკური ძალადობა. უფრო ხშირად ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები არიან.

კანონის მიღება ჩვენი პარლამენტის მიერ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო. თუმცა ამ ეტაპზე გაჩერება და მისი დაუხვეწაობა დაუშვებელია. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე და ვფიქრობ, ძალიან შედეგიანად იქნება ჩვენი შრომა. თუ კანონი იქნება უფრო მეტად მკაცრი და ქმედითი, მოძალადე კაცები იგრძნობენ პასუხისმგებლობას და კანონის წინაშე უძღურნი იქნებიან. გადავხედოთ კანონს სისხლის სამართლის შესახებ. ყველას ეშინია, მოხვდეს ასეთ დამნაშავეთა რიგებში, რადგან კანონი მოქმედებს და ერთნაირად მკაცრია ყველასთვის. თუ ოჯახში ძალადობის შესახებ კანონიც ასე

ეფექტურად იმუშავებს, კაცები ვეღარ გაბედავენ ქალების დაჩაგვრას.

დამცირებას და შეურაცხყოფას ბავშვიც ვერ იტანს. მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, მუსიკის მასწავლებელი ხელებზე მცემდა ხოლმე, თუ კარგად ვერ დავუკრავდი, ამის გამო საშინლად არ მიყვარდა იქ სიარული და ახლაც ძალიან ცუდად მახსოვს ეს. წარმოიდგინეთ, როგორია იმ ქალის ფსიქიკა, რომელიც გამუდმებით ოჯახურ ძალადობას განიცდის.

- საბჭო გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე მუშაობს, მაგრამ რამდენად ფლობთ ინფორმაციას საქართველოს რეგიონებში არსებულ გენდერულ ვითარებაზე?

- ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მათ წინადადებებსა და რეკომენდაციებს ვითვალისწინებთ სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის საკითხებზე მუშაობისას.

დღევანდელმა შეხვედრამ ბევრი ინფორმაცია მომცა. აქ აღნიშნეს, რომ სკოლა ბევრმა დაოჯახებულმა და შვილიანმა მოსწავლემ დაამთავრა. ხშირია 13-14 წლის ასაკში დაქორწინების ფაქტები. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი პრობლემაა 21-ე საუკუნეში. არ მეგონა, თუ ასეთი ფაქტები კიდევ ხდებოდა.

- თქვენ წარმატებული ქალი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო, რომ ქალი წარმატებული იყოს?

- უპირველესად, უნდა იყო მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პროფესიონალი, მაგრამ, კაცებისაგან განსხვავებით, ქალს გამუდმებით უხდება საკუთარი სიძლიერის დამტკიცება და დამტკიცება იმისა, რომ ღირსია ამა თუ იმ თანამდებობის. რადგან ქალი ხარ და თანამდებობების უმეტესობა კაცებს უჭირავთ, ხარ მარტო, ამიტომ საჭიროა, ქალებმა მხარი დაუჭიროთ ერთმანეთს და ერთად დავდგეთ გარკვეული პრობლემების გადასაჭრელად, ჩვენი უფლებების დასაცავად. თუ ერთად ვიქნებით, ყველა პრობლემა შედარებით ადვილად მოგვარდება.

შეხვედრა რუსუდან კერვალიშვილთან



საინფორმაციო ტურის მონაწილეები



რედაქტორი
საჭაპურიძე

ქალთა ხმა გეგმად გაერთიანება გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის რუსუდან კერვალიშვილის ბრიფინგის (გასული წლის 31 დეკემბერს) თემები იყო - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და პარლამენტის მიერ "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის განსახორციელებლად დამატებული 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა.

რუსუდან კერვალიშვილის განცხადებით, ის საარჩევნო სუბიექტი, რომელსაც პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის ეყოლება სულ მცირე 2 ქალბატონი, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით.

რუსუდან კერვალიშვილის შეფასებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში განხორციელებული აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას ყველა დონეზე, რაც ძალიან დიდი მიღწევაა.

„მაღლობა მინდა გადავუხადო ყველა იმადამიანს, რომელიც წლების მანძილზე იბრძოდა საქართველოში იმისთვის, რომ ჩვენ ამისთვის მიგვეღწია. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ დაფასდეს ქალი და მისი მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში იყოს დამაინტერესებელი პოლიტიკური პარტიებისთვის, რაც თავისთავად ძალიან ბევრს ნიშნავს“, - განაცხადა რუსუდან კერვალიშვილმა. პარლამენტის თავმჯდომარის

მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებების განხორციელებაში არასამთავრობო სექტორთან და პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს მთავრობას მიუძღვის.

რუსუდან კერვალიშვილმა მნიშვნელოვანი უწოდა პარლამენტის მიერ 27 დეკემბერს, რიგგარეშე სესიის სხდომაზე მიღებულ დადგენილებას, რომლის თანახმად, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის განსახორციელებლად 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

მისი თქმით, სამოქმედო გეგმის დამტკიცება ხელს შეუწყობს ქალთა ჩართულობის გაზრდას სამშვიდობო პროცესებში.

ბოლო წლებში გენდერული თანასწორობის კუთხით გატარებულ პოლიტიკას წარმატებული უწოდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ, თამარ კინწურაშვილმა.

მისი თქმით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები არის სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითი.

თამარ კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ გაეროს გენერალური მდივანი

თავის ყოველწლიურ გამოსვლაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველო შეუერთდა მსოფლიო ქვეყნების იმ თანამეგობრობას, ვინც 1325 რეზოლუციის განხორციელების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმა მიიღო.

„იმედი მაქვს, რომ ყველა ეს ცვლილება პოზიტიურად აისახება იმაზე, რომ ქალთა ხმა მეტად ისმოდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, - განაცხადა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ.

●
პოლიტიკურ ორგანიზაციებში და მმართველობის ყველა დონეზე ქალთა თანაბარი მონაწილეობის საკითხებს განიხილავდნენ 25 იანვარს სასტუმრო „თბილისი მერიოტში“.

შეხვედრაში, რომელიც საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, რუსუდან კერვალიშვილის ინიციატივით გაიმართა, იმ თერთმეტი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც 2010 წლის აპრილში NDI-ს მხარდაჭერით გამართულ კონფერენციაზე ხელი მოაწერეს გლობალურ სამოქმედო გეგმას „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“.

სამუშაო შეხვედრაზე პარტიებმა იმსჯელეს, თუ რა დადებითი შედეგი შეიძლება მოიტანოს ახალმა საკანონმდებლო ცვლილებამ. საუბარია საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ შეტანილ დამატებაზე, რომელიც ითვალისწინებს დაფინანსებაზე 10%-იან დანამატს იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, ვინც ადგილობრივ არჩევნებზე წარდგენილ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა სულ მცირე 20%-ს შეიყვანს.

კახუხის შედეგ...

მგალობლიშვილის ექვს ნომერში, მყუდრო და საქმიან გარემოში ქალბატონებმა ერთად მოიხილეს პერსპექტივები.



„მინდა, 2012 წელს ქართველი ხალხის სწორმა, გონივრულმა აზროვნებამ, შრომისმოყვარებამ და სიყვარულმა ისეთ ქვეყნად გვაქციოს, სადაც ყველა საზოგადოების ღირსეულ წევრად იგრძნობს თავს.

გვეფანტოს მტრები, ბედნიერება და სიხარული ჩვენს ქვეყანას!

ჩემს საყვარელ ფონდ „სოხუმს“, ამომრჩეველ ქალთა კლუბს, რომელთანაც უკვე მრავალი წელია ვთანამშრომლობ, სულითა და გულით ვულოცავ ახალი წლის შემობრძანებას!

ჩვეული ენერჯითა და წარმატებით გვეკეთებინოს ყველა საქმე.

ქალაქის საკრებულოში ქალთა სიმრავლეს ვისურვებდი, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი დემოკრატიული განვითარებისათვის...“

ლია ვაქნისაძი

ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა გუნდის წევრები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მათთვის ჩვეულ და საყვარელ ადგილას.

შეხვედრას საკრებულოს წევრი, მანანა კიკაბიძეც ესწრებოდა. მან კლუბის წევრებს ქალაქში მიმდინარე სიახლეები გააცნო, მათ მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

- ყოველი შეხვედრა საინტერესო და სიახლის მომტანია. რას ველოდები? ჩვენ კიდევ და კიდევ ვისაუბრებთ მოსახლეობის პრობლემებზე და ერთობლივად ვიმსჯელებთ მათი გადაჭრის გზებზე, - ამბობს პედაგოგი ქეთევან ნიკოლაიშვილი. - აქ მშვიდობის სახლია, მშვიდობის სული სუფევს, აქ საჭირობოროტო საკითხებზე ვსაუბრობთ. ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია კლუბის არსებობა. კლუბს სამოქმედო არეალის კიდევ უფრო გაზრდას და გაფართოებას ვუსურვებ.

მწერალ ლია გვენეტაძის აზრით, შეხვედრები ხელს უწყობს ქალთა

პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას, მათ გააქტიურებას დემოკრატიულ პროცესებში: „კლუბი ზრუნავს, რათა ქალმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ყველა სფეროში. ორთვიანი შესვენების შემდეგ ჩვენი მუშაობა კვლავაც იქნება ნაყოფიერი, შემოგვიერთდებიან ახალი, საინტერესო, აქტიური ქალბატონები.“

„რას ვუსურვებ ქალბატონებს? აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ტემპერატურის აწევაში არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ სხვა დროსაც. ვისურვებდი, ჩვენი საუბრები საქმიანად დავამტკიცოთ!“ - აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ნატო ქათამაძე.

ამდღესამაღლებულია ქალბატონების განწყობა...

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი სოფიო დავითულიანი კლუბის ახალი წევრია, ის პირველად



ქუთაისის კლუბში

კაღის პეპელი...

კლუბის წევრებმა კიდევ ერთხელ მიულოცეს 50 წლის იუბილე მწერალ ლია გვენეტაძეს.

მოვიდა ფონდ „სოხუმში“, მისი მოლოდინები ასეთია:

- ჟურნალ „ქალთა ხმიდან“ გავიგე, რომ ამომრჩეველ ქალთა კლუბი ქალთა გააქტიურებას და საზოგადოების პრობლემების ადვოკატირებას ემსახურება. პრობლემების დასმასა და გადაჭრაში მეც მივიღებ აქტიურ მონაწილეობას.

კლუბის პირველი სხდომა ხმაურიანია. თემაც სხვადასხვა - ინფორმაცია ახალი პროექტის შესახებ, 16-დღიანი საერთაშორისო კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ თუ გაეროს რეზოლუცია 1325.

ინფორმაციას პროექტის შესახებ აკეთებს კლუბის მოდერატორი გულნარა ლაკერბაია.

პროექტის მიზნებსა თუ ამოცანებს გამოეხმაურნენ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები.

-მსურს, დავესწრო საკრებულოს სხდომებს. გავეცნო იმ პროგრამებს, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს და რომელთა შესახებაც მოსახლეობას ხშირად არასაკმარისი ინფორმაცია აქვს, - აღნიშნავს ფლორა კობახიძე.

არანაკლებ საინტერესო იყო მსმენელთათვის ინფორმაცია 16-დღიანი კამპანიის შესახებ.

- კამპანია დასაბამს 1991 წლიდან იღებს. ფონდი „სოხუმი“ მასში აქტიურად 2001 წლიდანაა ჩართული. ნელს ჩვენი ლოზუნგია: „სახლში მშვიდობიდან - მსოფლიოში მშვიდობამდე!“ ჩვენი ატრიბუტია ცისფერი შარფი, - ამბობს კლუბის მოდერატორი და შეხვედრის მონაწილეებს გადასცემს ცისფერ შარფებს, პოსტერებს, კალენდრებს, საინფორმაციო ფურცლებს.

იმ დღეს ცისფრად შემოსილმა 30-მდე ქალბატონმა პროტესტი გამოხატა ძალადობის მიმართ.

ზოგიერთმა მათგანმა 25 ნოემბრის მდუმარე აქციაშიც მიიღო მონაწილეობა (აქციები რვავე ქალაქში გაიმართა 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს).

- გავეცანით გაეროს რეზოლუციას 1325. ეს რეზოლუცია მკაფიოდ გამოხატავს ქალთა უფლებების დაცვას, ქალის როლს მოლაპარაკების პროცესებში. ვინაიდან რეზოლუცია ქალთა პოლიტიკურ გააქტიურებასაც გულისხმობს, ამიტომ მისი გაცნობა და გავრცელება სა-

ზოგადოებაში მნიშვნელოვნად მიმაჩნია, - ამ საკითხის შესახებ ასეთ კომენტარს აკეთებს თეონა გოგიშვილი.

დასასრულს, კლუბის წევრს, მწერალ ლია გვენეტაძეს კლუბის წევრებმა კიდევ ერთხელ მიულოცეს 50 წლის იუბილე, შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

●
ელენე ბერეკაშვილი კლუბის ერთ-ერთი წევრია. ის დიდი ხანი არაა, კლუბის ერთ-ერთმა სტაჟიანმა მონაწილემ მაგული გიორგაძემ გააწვევინა.

- მიმაჩნია, რომ კლუბი მიზანდასახულად მუშაობს. მომწონს, რომ მუდმივად ახლის ძიებაში ვართ, აქ ბევრი სიახლეა - საინტერესო ადამიანები, მსჯელობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ელენე ბერეკაშვილმა ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე. შემდგომში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

47 წელია, პროფკავშირების გაერთიანების კომიტეტის თავმჯდომარეა, არის საქართველოს პროფკავშირების ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე 2009 წლიდან.

მეუღლე 32 წლის წინ გარდაეცვალა. მარტომ გაზარდა ქალიშვილი, რომელიც ახლა სპეციალობით იუ-

„უპირველესად, ყველა ქალს ვულოცავ! ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების ბედნიერების მომტანი წელი! ვისურვებდი მომავალ პარლამენტში მეტი ქალის მოსვლას. არ გვენახოს ძალადობის მსხვერპლი ქალები! იმედს ვიტოვებ და მჯერა, რომ ნელს უფრო მეტ ბედნიერ და გაცისკროვნებულ სახეს ვიხილავთ.

მე, როგორც ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ადვოკატირების ჯგუფის წევრი, ვისურვებდი, რომ ქალაქში მოწესრიგდეს ტრანსპორტის, კომუნალური საკითხები და, რაც მთავარია, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არ იყოს გაუცხოება, არამედ მეტი საჯაროობა, მეტი ინფორმაცია და ერთუბრთის სიყვარული!“



პავლე გიორგაძე



რისტი და ეკონომისტია. ჰყავს ორი შვილიშვილი.

ელენე ბერეკაშვილს უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მეგობრულია, განსაკუთრებულ პატივს სცემს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას.

- მათთან პირველივე დღიდან კარგი ურთიერთობა მაქვს. მსიამოვნებს, ამომრჩეველ ქალთა კლუბში დევნილი და ადგილობრივი ქალბატონების ერთსულოვნებას რომ ვხედავ.

ჩვენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობით ვცდილობთ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას.

მიმაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქალაქში ყოფილი პირობები გაუმჯობესდეს. თუმცა, პრობლემა მაინც ბევრია. მაგალითად, მიუსაფარი ბავშვები თუ მოხუცები, რომელთაც მზრუნველობა, დახმარება სჭირდებათ. მე, ალბათ, კლუბთან ერთად ამ პრობლემას დავსვამ ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ელენე ბერეკაშვილი ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ შვილიშვილს 10 წელი უსრულდება...

საზეიმო განწყობას უსურვებს მთელ საქართველოს - სილაღეს, ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

**მანანა
ლიქაშვილი**



„იმედიანი საახალწლო განწყობა მაქვს. ახალი წლიდან ვისურვებდი ადამიანებს ჰქონდეთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშეთანხმების მეტი უნარი.

მე მაქვს პატივი, ვასწავლო უნარშეზღუდულ ბავშვებს, ამიტომ ჩემი უდიდესი თხოვნა და სურვილია, ახალი წლიდან ასეთი კატეგორიის ბავშვებს მეტი ყურადღება ჰქონდეთ, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური მთავრობის მხრიდან...“

ლელა ყუპუაშვილი



„გისურვებთ მფარველობას და წყალობას ღვთისას! დაე, ხალხთა შორის შულს ცივილური დიპლომატია ჩაენაცვლოს!

ნოდარ დუმბაძეს დავესხები: ბუნების ძალავ, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან. მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი...

სიყვარული, სიკეთე, მზეგრძელობა დაგბედებოდეთ!“

ნატალია თოდუა



„ყველას ვულოცავ შობა-ახალ წელს - ბედნიერება, ხვალი და ბარაქა ნუ მოგკლებოდეთ, სიკეთე და უღვევი სიხარული! ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგამრავლოთ და გაგაძლიეროთ!“

ოვროლა ვოგუა

„შობა-ახალ წელს ვულოცავ ქალებს! სულიერ სიმშვიდეს, სიბოხს, სიყვარულს, ყველა ლამაზი სურვილისა და ოცნების ახდენას ვუსურვებ!“

ლია ხარაშაძე



ადოკატირების ჯგუფი მჭიდრო თანამშრომლობას პირებს საკრებულოსთან

ქალთა მხარდაჭერის ცენტრისა და ამომრჩეველ ქალთა კლუბის ერთობლივი ძალისხმევით ხონის ცენტრში აქცია გაიმართა.

გასული წლის 25 ნოემბერს საერთაშორისო კამპანიას ხონი შეუერთდა აქციით, რომელშიც მონაწილეობდნენ დევნილები და ადგილობრივი მცხოვრებნი. ყოველ მათგანს აერთიანებდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მისწრაფება.

იმ დღეს აქციები გაიმართა დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. აქციებში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ფოთისა და ხობის ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრებმა.

ხონის კლუბის პირველ შეხვედრაზე ქალებმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი მსოფლიო კამპანიის შესახებ. აღნიშნეს, რომ ოცდახუთ ნოემბერს აქციაში მონაწილეობით მათ პროტესტი გამოუცხადეს ძალადობას.

ისევე, როგორც სხვა კლუბები, ხონშიც სიხარულით შეხვდნენ ინფორმაციას კლუბის მუშაობის გაგრძელების შესახებ. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ადოკატირების ჯგუფის გააქტიურების საკითხი.

ადოკატირების ჯგუფმა საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემები დაასახელა. მთავარი პრობლემა საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებული მაღალი გადასახადია.

ასევე დაისვა გაზიფიცირებისა და ამბულატორიის გახსნის საკითხი. შეხვედრის მონაწილე დევნილი ქალები აცხადებენ, რომ ამ უკანასკნელი პრობლემის ადოკატირება არაერთხელ სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ამის მიუხედავად, ისინი კვლავ ეცდებიან ამ პრობლემის გადაჭრას.

ადოკატირების ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ საკრებულოს

სხდომებს, მონაწილეობდნენ ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვაში.

წელს კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას აპირებენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ზოგიერთ მათგანს აქვს მუშაობის გამოცდილება საკრებულოს ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის კუთხით (ფონდი „სოხუმის“ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში).

საკრებულოს წევრებიც მზად არიან თანამშრომლობისათვის. ბაჩანა ბასილაიამ (საკრებულოს მთავარი სპეციალისტი) ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა:

„ქალთა აქტიურობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ, რათა საკრებულომ გაითვალისწინოს მოსახლეობის მოთხოვნები. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტის მხრიდან ფონდ „სოხუმს“ და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგეს“.

მანანა
ლუქაშვილი

25 ნოემბრის აქციის დროს



შეხვედრა ქუთაისში



ოლგას წარმატებული წელი

მანამდეც აქტიური იყო, მაგრამ კლებმა ჯიდევ უფრო გაააქტიურა. მოსწონს ის, რასაც ქალები ემსახურებიან.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აჯილდოებს განათლების რეფორმის განხორციელებაში მიღწეული წარმატებებისათვის, მოზარდთა აღზრდისადმი შემოქმედებითი და პროფესიული მიდგომისათვის, აფხაზეთის მე-12 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ოლგა კიკავას“.

ამ საპატიო სიგელს და პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ულოცავენ თანაკლუბელები ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის აქტიურ წევრს.

კლუბის მილოცვას ფონდი „სოხუმიც“ გულითადად უერთდება.

ოლგამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები ინგლისურ ენასა და კომპიუტერში. აიღო უმაღლესი ქულები, რის საფუძველზეც გახდა სერთიფიცირებული მასწავლებელი.

ბოლო მიღწევით, რა თქმა უნდა, კმაყოფილია და თავის ემოციასაც ვერ მალავს, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ საგამოცდო პერიოდი არც ისე მარტივი იყო, ბევრ შრომასა და მეცადინეობას მოითხოვდა.

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ოლგასთვის და იმედოვნებს, რომ ახალი წელი უკეთესი იქნება პედაგოგთა ცხოვრებაში.

- განათლების რეფორმა პედაგოგებზე მტკივნეულად აისახება. არც ისე იოლია, აიმაღლო პროფესიული დონე, მით უმეტეს, სოფლად მცხოვრებმა მასწავლებელმა, რომელსაც არანაირი შესაძლებლობა არა აქვს, გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები, არადა, გამოცდების ჩაბარება აუცილებელია.



ოლგა კიკავა ფილოლოგიის დოქტორია. გავლილი აქვს უამრავი ტრენინგ-სემინარი ლათვიაში, რუსეთში, საფრანგეთში. გასული წლის ნოემბერში რვადლიან ტრენინგს დაესწრო სტრასბურგში, სადაც ადამიანის უფლებების თემაზე გამართულ ღონისძიებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. - მივიღე დიდი ცოდნა ადამიანის უფლებების ადვოკატირებაში, ასევე უცხო ქვეყნების გამოცდილება, რასაც სხვებსაც გაუზიარებ და აუცილებლად გამოვიყენებ ჩვენი კლუბის მუშაობაში, - ამბობს ოლგა.

ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე ისაუბრეს. ადვოკატირების ხუთკაციანმა ჯგუფმა კლუბზე დასმული საკითხების (ადგილობრივი თვითმმართველობის, მედიის ჩართვით) გადაჭრის სტრატეგიაც შეიმუშავა.

შეხვედრის მონაწილეებმა კლუბის აქტიურ წევრს, ოლგა კიკავას ახალი წარმატებები მიულოცეს პროფესიულ სფეროში.

ოლგას ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბთან თანამშრომლობის ოთხწლიანი სტაჟი აქვს, ადვოკატირების ჯგუფის წევრია.

მანამდეც აქტიური იყო, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, კლებმა კიდეც უფრო გაააქტიურა და სხვა თვალით დაანახა ქალთა პრობლემები.

მოსწონს ის, რასაც ქალები ემსახურებიან - დემოკრატიული პროცესების განვითარება ქალთა მხარდაჭერის მიზნით. თავადაც ცდილობს ამ საქმეში წვლილის შეტანას.

გასული წელი წარმატებული იყო ოლგა კიკავასთვის. ასე იქნება ახალიც...

ქანანა
ღუბაშვილი

სასიკეთო ცვლილებების რწმენით

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ამომრჩეველ ქალთა კლუბის მორიგ შეხვედრას ესწრებოდნენ კლუბის წევრები - საკრებულოს დეპუტატები და თანამშრომლები, ადგილობრივი და დევნილი ქალები.

იყვნენ ქალბატონები, რომლებიც იმ დღეს მოვიდნენ პირველად და შეხვედრის ბოლოს გადანწყვიტეს, თავადაც გამხდარიყვნენ კლუბის წევრები და აქტიურად ჩართულიყვნენ მის მუშაობაში.

როგორც შეხვედრის დასაწყისში აღინიშნა, კლუბის მიზანია დემოკრატიულ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა. ეს ასეც იქნება, რადგან კლუბი საკმაოდ აქტიურია და მასში გაერთიანებული სხვადასხვა პროფესიის ქალების საერთო ძალისხმევით შესაძლებელია ადგილობრივი პრობლემების წარმოჩენა და მოგვარება.

შემდეგ კლუბის წევრებს მიენოდათ ინფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 66 რეგიონული ორგანიზაციიდან ყველა ხელმძღვანელი მამაკაცია; ახალი მემარჯვენეების 42 ორგანიზაციიდან ექვსს ქალი ხელმძღვანელობს; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 63 რეგიონული ორგანიზაციიდან თოთხმეტის ხელმძღვანელი ქალია; საქართველოს რესპუბლიკური პარტიის 58 რაიონული და საქალაქო ორგანიზაციიდან ცხრას ქალი ხელმძღვანელობს; საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 66 რეგიონული ორგანიზაციიდან რვას ქალი ხელმძღვანელობს.

ეს მხოლოდ მონაცემთა მცირე ნაწილია. არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო დასკვნა ადასტურებს, რომ ქალების აქტიურობა და მოტივაცია დაბალია, რის მიზეზადაც სახელდება სოციალური პირობები, პოლიტიკური გარემო, პატრიარქალური საზოგადოება.

შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ წარმოდგენილი მონაცემებით და განხილვაშიც ჩაერთნენ.

დარეჯან ცხვიტარია (ფოთის საკრებულოსა და ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი): „ამ მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალების გონებრივი შესაძლებლობები სწორად არ არის შეფასებული. ქალი ვიზუალურად არის ნაზი, კდემამოსილი, მისი შინაგანი სამყარო კი მეტად ძლიერია. ისტორიის ყველა ეტაპზე ქართველი ქალები მუდამ წინა პოზიციებზე იდგნენ, მათ ერთგულებაც შეუძლიათ და ბრძოლაც. ვინაიდან ქალები პოტენციური დედები არიან, ამიტომაც არიან ფრთხილნი, ფაქიზნი და ძლიერნი. მამაკაცებს არ უნდათ ამის აღიარება. ქალებმა მეტი უნდა ვიაქტიუროთ, რისთვისაც საკმარისი მონაცემები გვაქვს. სრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები.“

კლუბის მუშაობის ძირითადი ნაწილი მოსახლეობის პრობლემებზე (წყლით მომარაგების, გაზიფიცირებისა თუ სხვა) მსჯელობას დაეთმო. გაზიფიცირების საკითხებზე დასმულ შეკითხვებს „სოკარჯორჯიას“ წარმომადგენელმა, ამომრჩეველ ქალთა კლუბის მოდერატორმა სოფო ბილიხოძემ უპასუხა: „ქალაქში ჯერ მხოლოდ ერთი ქუჩაა გაზიფიცირ-

აქტიური მუშაობა კლუბში



რებული. სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ მინისქვეშა კომუნიკაციები მეტ შრომას, დროს და პროფესიონალიზმს მოითხოვს. რაც შეეხება მთლიან გაზიფიცირებას, ორ წელიწადში დასრულდება.

შეხვედრის მონაწილეებმა მე-11 ბაგა-ბაღის წყლით მომარაგების პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება. აღმოჩნდა, რომ ბაგა-ბაღს არ მიენოდება წყალი, რაც მასწავლებლებს მუშაობაში ხელს უშლის.

ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის მისაღებად კლუბში მოიწვიეს ფოთის საკრებულოს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ნატო ესიავა, რომელმაც განაცხადა: წყლის პრობლემა წლების განმავლობაში იყო. ამ საკითხებზე ჩვენ ერთი წელია ვმუშაობთ. ყველა ბაგა-ბაღის მდგომარეობა შესწავლილია, მაგრამ ვინაიდან თანხებთან არის დაკავშირებული, პრობლემებს ეტაპობრივად ვაგვარებთ.

ქალბატონი ნატო დაჰპირდა კლუბის წევრ ქალებს, რომ ბაგა-ბაღების პრობლემებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

ამ პრობლემაზე კომენტარი გააკეთა დარეჯან ცხვიტარიამ: „საკრებულოს ბიუჯეტი ერთი მილიონია. ეს თანხა უნდა განაწილდეს ყველა სფეროზე. ბაგა-ბაღების საკითხი დამალული არ არის - გამჭვირვალეა. სამართალმემკვიდრეობა იყო ძალიან ცუდი. უწყლოდ - უშუქოდ არის 17 ბაგა-ბაღი. საერთოდ, ქალაქში ძალიან მწვავედ იდგა წყლის პრობლემა.

შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ამჟამად წყალი ქალაქს დღე-ღამეში ექვსი საათი მიეწოდება. 2012 წელს წყლის გამრიცხველიანება დასრულდება და მოსახლეობას წყალი უწყვეტად ექნება.“

შეხვედრაზე დაისვა საკითხები ბაგა-ბაღებში მშობელთა მიერ გადასახადების გადახდისა და პენსიონრებისთვის ნამლების ვაუჩერების გაცემასთან დაკავშირებით.

მონაწილეებს განემარტათ, რომ ბაგა-ბაღებში თანხას მხოლოდ ის მშობლები არ იხდიან, რომლებიც სოციალურად შეჭირვებულთა ბაზაში არიან, ან 3 შვილიდან ორი ბაღში ჰყავთ. ასეთ მშობლებს გადასახადი უნახვევრდებათ.

რაც შეეხება ვაუჩერებს, იგი გაცემა ყველა პენსიონერზე, პირადობის მონმობის ასლის, ფორმა ასისა და პირადი განცხადების საფუძველზე.

გამოითქვა ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემაც: „დასახლება „ნაბადაში“ მუნიციპალური ტრანსპორტი არ დადის, კერძო ტრანსპორტი კი ორმოცდაათი თეთრი ღირს. ეს თანხა დაუსაქმებელი ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი არ არის“.

კლუბზე არაერთი პრობლემის შესახებ ითქვა.

ადგოკაციების ხუთკაციანმა ჯგუფმა დევნილთა ახალი დასახლების მიმდებარე ტერიტორიიდან ნავის გატანის საკითხზე დაიწყო მუშაობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კლუბის წევრები ტელეფონით ესაუბრნენ „მშს ინფრასტრუქტურა 2008“ დირექტორს ირაკლი დუნდუას. მან განაცხადა: „სამშენებლო ნავის გატანა მშენებლებს ევალებოდათ. ვინაიდან მათ ეს არ გააკეთეს, აღნიშნულ პრობლემას უახლოეს დროში მოვაგვარებთ.“

ამ დროისათვის ეს პრობლემა მოგვარებულია. ეს კლუბის მუშაობის პირველი შედეგია და იმედიც, რომ სხვა პრობლემების მოგვარებასაც შეძლებენ.

ამიტომაც ითქვა: „ჩვენ უნდა ვისწავლოთ თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ვიზრუნოთ ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.“

წერილი ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ერთ-ერთი ახალი წევრის სიტყვებით მიიღა დავასრულო: „უმაღლესი განათლება მივიღე, მაგრამ უმუშევარი ვარ. კლუბის შესახებ მეგობრებისაგან გავიგე, ამ მუშაობაში აქტიური ჩართვა მსურს. ვიმედოვნებ, რომ კლუბზე შექმნილი უნარ-ჩვევები დასაქმებასა და პირადი ცხოვრების შეცვლაში დაემხმარება.“

ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ კლუბის წევრების (და არა მარტო მათი) ცხოვრება კლუბთან თანამშრომლობით სასიკეთოდ შეიცვლება.

**ნაუო
ჩხორიოლია**



„მოგონს, ქალები რომ გაბოლიან ჩრდილიდან“

სულ რაღაც ორ შეხვედრას დაესწრო... მაგრამ ორმა შეხვედრამაც თავისი ქნა.

ნინო ბჟალავა ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ახალი წევრია. პირველივე შეხვედრაზე აქტიურობით გამოავლინა გამბედავი და შეუპოვარი ხასიათი...

- ნინო მტკიცე ადამიანია, პირდაპირი, დაუზარელი. კარგად ასრულებს ნებისმიერ დავალებას, - ასეთია კლუბის მოდერატორის, ამავდროულად მისი რძლის, ნელი უნგიაძის შეხედულება.

- ჩვენ მეზობლები ვართ. ნინო ყურადღებიანია, მოსიყვარულე. იცის სხვისი ტკივილის გაზიარება. მისგან ყოველთვის დადებითი მუხტი მოდის, - ამბობს მაია კალანდია.

მართალია, საკუთარ თავზე არ უყვარს საუბარი, მაგრამ:

„აქტიური ვარ, თუმცაღა, ჩრდილში დგომაც შემიძლია. უსამართლობაზე თვალს ვერ დავხუჭავ. ვარ მიზანდასახული - ხშირ შემთხვევაში ვალწევ მიზანს.

როგორი დედა ვარ? ვფიქრობ, რომ ობიექტური - შვილს არ ვაკლებ სიტბოს და მზრუნველობას. ვცდილობ, ავუხსნა და არ დავტუქსო.“

ნინომ დაამთავრა უნივერსიტეტი წარმოებისა და ეკონომიკის მართვის სპეციალობით. მუშაობს TBC ბანკში მოლარე-ოპერატორად. ჰყავს მეუღლე და ორი წლის ალექსანდრე.

ერთ დროს უცნაური გატაცება ჰქონდა - ხელსახოცებს აგროვებდა. თითოეული რაღაცას ახსენებდა...

დღეს პოლიტიკოსი ქალების ცხოვრებითაა დაინტერესებული - ანგეღა მერკელი მისი იდეალია პოლიტიკაში. თავად აპოლიტიკური ადამიანია:

- არასოდეს ვყოფილვარ პოლიტიკური პარტიის წევრი, ჯერჯერობით არც ვაპირებ, ვფიქრობ, ამისათვის დიდი გამოცდილებაა საჭირო...



სამომავლოდ არაფერს გამოირიცხავს. იმედია, თუკი ნინო პოლიტიკური კარიერის შექმნას გადაწყვეტს, მას ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებიც მხარს დაუჭერენ.

ნინო: „კლუბში ვსაუბრობთ აქტუალურ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ამ შეხვედრებმა უკეთ დამანახა ქალთა შესაძლებლობები. დამანახა, რომ ქალები უფრო მგრძობიარეები არიან სოციალური პრობლემების მიმართ“.

ნინო ბჟალავა ახალ წელს კარგი განწყობით შეხვდა:

„პატარა ბავშვივით მიხარია. იმედით, რწმენით ვხვდები.

რას ვისურვებდი? ყველა პატარა იყოს ჯანმრთელი, იცხოვროს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში მშობლებთან ერთად!

კლუბს აქტიური ქალების სიმრავლეს და მათ მიერ დასმული პრობლემების უახლოეს დროში გადაჭრას ვუსურვებ“...

მანანა
ლემუქლი

აგბები რეპიტინებიდან

ფოთი

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, მაგალინა მენაბდე კობა ცხადაია შეცვალა.

მენაბდე ფოთის საკრებულოში 2010 წლის არჩევნებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით შევიდა.
www.tspress.ge

ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამუშვილი, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მიერ ორგანიზებულ, 2012 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვაში მონაწილეობდა. ბიუჯეტის პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს. გასული წლის 9 დეკემბერს საკრებულომ მოინონა და დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი.
www.ozurgeti.org.ge

სოზი

იანვრის დასაწყისში ქალაქ ხობში მიმდინარეობდა ტრენინგი თემაზე „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“. ტრენინგში მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელები. იანვრის ბოლოს ტრენინგში მონაწილეობა აღმზრდელებთან ერთად, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მთავარმა სპეციალისტებმაც მიიღეს.
www.khobi-sakrebulo.ge

უკუბრუნება რეპროდუქციულ

წყალტუბო

გასული წლის 18 ოქტომბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: მალაკუში, ტყაჩირში, ფარცხანაყანევში, პატრიკეთში, ოფშკვიტოში საბავშვო ბალები გაიხსნა.

შენობებისათვის კაპიტალური რემონტის ჩატარება საპრეზიდენტო პროგრამის „თითო პროექტი - თითო სოფელს“ ფარგლებში გახდა შესაძლებელი. საჭირო ინვენტარის შეძენას ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 33000 ლარი მოხმარდა. სკოლამდელი აღზრდის თითოეული დაწესებულება თანამედროვე სტანდარტების დონეს აკმაყოფილებს.

www.tskaltubo.ge

ბათუმი

სოციალურად დაუცველმა, მრავალშვილიანმა ოჯახმა მიიღო საახალწლო საჩუქარი - ელექტროტექნიკა ბათუმის საკრებულოსგან და მიკროსაფინანსო კომპანია „ლაზიკა-კაპიტალისგან.“

მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისს ჟანა ჩარგეიშვილს სამი არასრულწლოვანი ბავშვი ჰყავს. ოჯახი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს, ბუნებრივი აირი არა აქვთ. ბუნებრივი აირის სახლამდე მიყვანაში დახმარება უზნის მაჟორიტარმა დეპუტატმა გენო თებეძემ და საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ეკატერინე თარგამაძემ აღუთქვეს.

www.batumicc.ge

რადგან უყვარს დანახული საქმის ბოლომდე მიყვანა...

წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებმა გასული წლის შედეგებზე ისაუბრეს.

ითქვამს, რომ ადვოკატორების ჯგუფმა მოსახლეობაში არსებული პრობლემების ადგილობრივ ხელისუფლებამდე მიტანა და მათი გადაჭრისათვის კონკრეტული საშუალოს ჩატარება შეძლო.

მზია კიკალიშვილი წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბის ერთ-ერთი აქტიური წევრია. ის საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელია.

- მზია განათლებული, შრომისმოყვარე, ერთგული და მიზანდასახული ადამიანია. უყვარს დანახული საქმის ბოლომდე მიყვანა, ვერ იტანს უსამართლობას და ცდილობს დაიცვას თავი და მეგობრებიც, - ასე აფასებს მეგობარი ხათუნა გოგიძე.

წარჩინებით დაამთავრა წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა წყალტუბოს პირველ სკოლაში და არასაერო სკოლა „ოცნებაში“.

პოლიტიკაში აქტიურად 2007 წლიდან ჩაერთო: „ყოველთვის მქონდა სურვილი, დამეცვა ჩემი თანაქალაქელების ინტერესები, ვინაიდან ხშირად ირღვეოდა მათი უფლებები.“

მისი მოწოდება სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული ადამიანების გვერდით დგომაა. იყო შემთხვევა, როდესაც მისი ინიციატივით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ექვსშვილიან ოჯახს საზამთროდ შემა გამოუყო და სახლის სახურავიც გადაუხურა.

მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში ქალი ისევე უნდა იყოს ჩართული, როგორც მამაკაცი, ამ გზით ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა გამოსწორდება.

„პოლიტიკაში არ არის დაცული გენდერული ბალანსი, ქალი ნაკლებადან წინა პლანზე. არადა, წინასწარჩვენოდ თუ არჩევნების პროცესში ყველა ძირითად საქმეს ქალი ასრულებს. შეხვედრების დროს ვეცდები სხვადასხვა პარტიის წევრებს ავუხსნა, რომ გაააქტიურონ ქალები. არა მარ-



ტო „შავი საქმეები“ გააკეთებინონ, არამედ სათანადოდ დააფასონ მათი სამსახური.

საკმაოდ რთულია იყო ქალი-ლიდერი, რადგან მამაკაცები ამას ვერ ეგუებიან, ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობენ, რასაც ეტყვიან, ის გააკეთებინონ ქალს. ამიტომ ხშირად მიწევდა შელაპარაკება მამაკაცებთან და წინააღმდეგობას ვაწყდებოდი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი გამეტანა და ვალწვედი კიდევაც.“

მზია კიკალიშვილი: „მოსახლეობის პრობლემების ადვოკატორება და შემდგომში მათი ლობირება ამომრჩეველ ქალთა კლუბის ერთ-ერთი მთავარი მისია გახდა.

ადვოკატორების ჯგუფის წევრი ვარ. დევნილი და ადგილობრივი ქალები ერთობლივად ვიზრუნებთ, რომ მოგვარდეს კლუბზე დასმული პრობლემები - ტრანსპორტის მოძრაობა, წყლის მიწოდება და უამრავი სხვა.“

რადგან მზია კიკალიშვილს უყვარს დანახული საქმის ბოლომდე მიყვანა, ადვოკატორების ჯგუფთან ერთად უსათუოდ მიაღწევს მნიშვნელოვან ცვლილებებს.

მანანა
ლუქაშვილი

გზაგანილი

მსგავსი ელექტრონული გზაგანილი მანანა შულაიასგან პირველი როდია.

ჟურნალ „ქალთა ხმას“ ის ხშირად უზიარებს თავის მოსაზრებებს, განცდებს, წარმატებებს.

და არა მხოლოდ „ქალთა ხმას“! გაზეთ „ხოზის მოამბეში“, რომლის რედაქტორიცაა, სისტემატურად იბეჭდება მისი სტატიები. თემატიკა, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, მაგრამ აქცენტს მაინც ქალთა პრობლემატიკაზე აკეთებს, განსაკუთრებით საინტერესოა მისი პორტრეტები წარმატებულ ქალებზე.

ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ქალბატონი მანანა ხობის საკრებულოს წევრია და ამასთანავე - ამომრჩეველ ქალთა კლუბის მოდერატორი.

ამჯერად მისი, როგორც ჟურნალისტის, ყურადღება 16-დღიანმა საერთაშორისო კამპანიამ მიიპყრო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ფართომასშტაბიან აქციაში მონაწილეობა მანანა შულაიამ და მისმა თანაკლუბელებმაც მიიღეს.

უფრო ვრცლად ამის შესახებ თავად უამბობს „ხოზის მოამბის“ მკითხველებს:

„სახლში მშვიდობიდან - მსოფლიოში მშვიდობამდე!“ - ამ სლოგანით, 25 ნოემბერს, ქალაქ ხობში, მოენყო ქალთა მშვიდობიანი აქცია, რითაც ის ტრადიციულად ჩაერთო ყოველწლიურ საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

უკვე წლებია, კამპანიის ფარგლებში, მთელ დასავლეთ საქართველოში, და მათ შორის ხობშიც, ფონდი „სოხუმის“ წევრები, მოხალისეები, ახალგაზრდა ლი-

დერები, პარტნიორები და ბენეფიციარები ატარებენ აქციებს, შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან. ტარდება მრგვალი მაგიდები, ენუობა ფილმების ჩვენება, დისკუსიები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები. ვრცელდება საგანგებოდ კამპანიისთვის შექმნილი საინფორმაციო ფურცლები, პოსტერები, კალენდრები, ბუკლეტები.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ძალადობის წინააღმდეგ კანონის შემოღება ბევრ სხვა ღონისძიებასთან ერთად, როგორცაა არაძალადობრივი კულტურის პროპაგანდა, ქალის უფლებების წინა პლანზე წამოწევა, ძალადობის, როგორც უმძიმესი სოციალური ბოროტების აღქმა, საუკეთესო საშუალებაა მისი პროფილაქტიკისათვის.

„სახლში მშვიდობა“ ეხმიანება და უკავშირდება „მსოფლიოში მშვიდობას“. ალბათ, სწორედ ამიტომაც აერთიანებს მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანს კამპანიის სლოგანი: „სახლში მშვიდობიდან - მსოფლიოში მშვიდობამდე!“

● „ახლებურად მენატრები, ძველებურად მიყვარხარ!“ - ეს მანანა შულაიას მეორე სტატიაა, რომელიც დაიბეჭდა „ხოზის მოამბეში“.

ჩანს, რომ აფხაზეთის თემატიკა ახლოა და მტკივნეული ავტორისთვის... მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამომრჩეველ ქალთა კლუბში ადგილობრივი და დევნილი ქალბატონები ერთად მუშაობენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ საფიქრალსა თუ საზრუნავს.

შეუძლებელია, ეს სტატია წაიკითხო და თვალს ცრემლი არ მოგადგეს.

აქ არის ტკივილი, რაც აფხაზეთის დაკარგვით განიცადა ქართველმა ერმა. მოძმე ხალხთა შორის გაუცხოებით გამოწვეული ტკივილიც. ის მიზეზებიც, რასაც დაპირისპირება, შუღლი, ომი და სისხლისღვრა მოჰყვა. და, რა თქმა უნდა, ჩანს იმედიც, რომელიც ყველას გვა-

ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებმა ადგილობრივ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. მათი აზრით, ყველაზე აქტუალური მაინც ოჯახში ძალადობის პრობლემაა.

ადვოკატირების ჯგუფი აპირებს აქტიურ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან და საერთო ძალისხმევით კონკრეტულ ნაბიჯებს ამ პრობლემის გადაჭრისათვის.

ცოცხლებს - შინ დაბრუნების იმედი! სტატიიდან ამონარიდები მინდა შემოგთავაზოთ:

„აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს!“ - თქვა პოეტმა და ნათქვამი ცხოვრების მიერ დადასტურებული სიმართლე გამოდგა.

...მონატრებაა - მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლხინი, ბიჭვინთა, რომელიც ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლები და თანამშრომლობის მონობანია.

...აფხაზეთი ძველი კერაა ქრისტეს სჯულისა, აკვანი მოციქულთა ანდრიასი და სვიმონ კანანელის, ბინა ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის, თამარის.

...ქართველი და აფხაზი - აფხაზეთში, საქართველოს ამ კურთხეულ მიწაზე, ოდიტგანვე ერთად ვცხოვრობდით, ძალიან ხშირად ჭერიც და ეზოც, ლხინიც და ჭირიც საერთო გვექონია.

...დღევანდელი რეალობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დიდი ხნის უნახავები შევხვდეთ ერთმანეთს და ვუთხრათ, როგორ მოგვენატრა ერთმანეთი.

...აფხაზეთო, ჩვენო საყვარელო ალაგო, ჩვენ კვლავ ერთად ყოფნა გვინერია, რადგან ასე დაგვანათლა განგებამ, და ისევ მოგმართავ: „ახლებურად მენატრები, ძველებურად მიყვარხარ!“

მომაზნადა

მანანა

ლექსიკონი

ქალთა კლუბში



ცვლილებები აღმოსავლეთში თვითმმართველობის ორგანიზაციები

„წარმატება დემოკრატიის გარეშე წარმოუდგენელია. დემოკრატია ქალების გარეშე შეუძლებელია“, - ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ამ სიტყვებით იწყება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წიგნი „დემოკრატია და გამონვევა ცვლილებისთვის“.

წიგნი თავმოყრილია NDI-ის მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება და მიზნად ისახავს ქალთა აქტიურობის ხელშეწყობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩევნებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობაში.

წიგნი გამოიცა დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) დახმარებით (სხვა ორგანიზაციებთან ერთად).

ჩვენ ადრეც დაგებქდეთ რამდენიმე თავი ამ წიგნიდან.

ამჯერად გთავაზობთ მასალას, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის - ამომრჩეველ ქალთა ლიგის წევრებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის.



დეცენტრალიზაცია, რომელიც ბევრ განვითარებად დემოკრატიაში საწყის პროცესშია, შეიძლება განვიხილოთ როგორც ინკლუზიური მმართველობის შესაძლებლობა, რომელიც ადგილობრივ საჭიროებებს ეხმარება. არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ შეუძლიათ ქალებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში:

სახელმწიფო, ქვეყნის ან ქალაქის დონეზე საოფისე საქმიანობა, ჩვეულებრივ, უმნიშვნელო გამოცდილებას მოითხოვს. უფრო მეტიც, შეხვედრები და ღონისძიებები ხშირად მშობლიურ ენაზე იმართება,

რაც ქალებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ადგილობრივ ხელისუფლებაში მუშაობას, ვინაიდან, მამაკაცებისგან განსხვავებით, მათ ნაკლებად აქვთ ფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა.

ადგილობრივ მთავრობაში მუშაობისას ქალებისთვის ადვილია შეუთავსონ პროფესიული საქმიანობა და საოჯახო საქმე, მათ შორის ბავშვის მოვლა. ეროვნულ დონეზე პოლიტიკაში მოღვაწეობის გამო ქალებს შეიძლება მოუწიოთ დედაქალაქში გადასვლა და „სრული განაკვეთით“ მუშაობა, რაც მათ დამატებით საზრუნავს უჩენს. ადგილობრივი პოლიტიკა მეტწილად „ნახევარ განაკვეთზე“ მუშაობას გულისხმობს.

ადგილობრივი ხელისუფლების მომსახურება, ეროვნული პოლიტიკისგან განსხვავებით, შეიძლება მნიშვნელოვნად ქალებისკენ იყოს მიმართული, ვინაიდან მათ ხშირად ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ხვდება, მაგალითად, განათლება და საზოგადოებრივი რესურსები.

არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მონაწილეობა შეიძლება აღმოჩნდეს კარიბჭე უფრო ფართო ეროვნული დონის პოლიტიკაში გასასვლელად.

ადგილობრივი მთავრობა გარკვეულ ბარიერებს უქმნის ქალების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

ერთ-ერთმა კვლევამ, რომელშიც გამოიკითხა პარლამენტის წევრი ქალები, ცხადყო, რომ მათი 71% მანამდე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობას ქალაქის საკრებულოსა და მთავრობაში.

დეცენტრალიზაციის პროცესებს თან ახლავს ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება და დაფინანსების გაუმჯობესება, რაც უფრო მიმზიდველი ხდება მამაკაცი კანდიდატებისთვის. ეს კი, თავის მხრივ, ქალებს სისტემის მიღმა ტოვებს.

ქალთა ლიდერობაზე ტრადიციულმა დამოკიდებულებამ, ხშირად კონსერვატიულმა და პატრიარქალურმა, შეიძლება მეტი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ დონეზე, რაც ქალებს ზღუდავს თავიანთ ქმედებაში. იმ შემთხვევაში, თუ ქალები ეცდებიან პოლიტიკაში მოსვლას, ისინი შეიძლება გახდნენ დაშინების ან შეურაცხყოფის ობიექტები.

მმართველობის ქვედა საფეხურებზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების დაბალი დონე ხშირად დისკრიმინაციას იწვევს. მაგალითად, ინდოეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, უნდა შექმნილიყო ადგილობრივი საკრებულოები, სადაც მანდატების ერთი მესამედი ქალებზე იყო გათვლილი. პრაქტიკაში, ზოგიერთ საკრებულოში დანესებული წესები ხელს უშლიდა იმ ქალებს, ვისაც ორზე მეტი შვილი ჰყავდა, ემსახურათ როგორც ამ ორგანოს წევრებს. სხვებმა კი სპეციალურად დაადგინეს ხმის მიცემის დაბალი ქვორუმი, რათა მამაკაცებს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები მიეღოთ სხდომაზე საკრებულოს წევრი ქალების არყოფნის შემთხვევაში.

ქალებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საჯარო ინფორმაციასა და

ცვლილებები პლიტობრივი მითმართველობის მრბანთებში

ადგილობრივ ხელისუფლებაში საქმიანობის დროს
ქაღები უფრო მეტად ზრუნავენ
ამომრჩეველების სოციალურ კეთილდღეობაზე.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე (რადიო, ტელეფონი, ინტერნეტი). რუნდაში 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქაღები დაზარალდნენ კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადებების დაგვიანების გამო, ვინაიდან, მამაკაცებისგან განსხვავებით, მათ ვერ შეძლეს ინფორმაციის მიღება.



განხილეთ პლიტობრივი მითმართვა უფრო მრბანობრივად

NDI-ის პროგრამებში ჩართულია ადგილობრივი საკრებულოები და სამთავრობო ერთეულები, რათა მათ უფრო ეფექტურად იმუშაონ მოქალაქეებთან და გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიუჯეტების და მომსახურების მიწოდების მონიტორინგი.

ნაციონალური მთავრობების დეცენტრალიზაცია დამატებით მოთხოვნას უყენებს ადგილობრივ ხელისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა და დემოკრატიის ხელშეწყობის თვალსაზრისით, რაც აუცილებელს ხდის ეფექტური მენეჯმენტისთვის რესურსების არსებობას და მოქალაქეების საჭიროებებზე ადგილობრივი მთავრობის რეაგირებას.

ქაღთა პოლიტიკურ ქმედებებში, მამაკაცებისგან განსხვავებით, ხშირად ვლინდება პასუხისმგებლობა ადგილობრივ საკითხებთან და ამომრჩეველებთან მიმართებაში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, ადგილობრივ დონეზე ქალი-პოლიტიკოსები კოლეგა მამაკაცებზე მეტად პრიორიტეტს ანიჭებენ საარჩევნო

უბნებში მუშაობას (კონკრეტული ადამიანების პრობლემების მოგვარება, შეხვედრები ამომრჩეველებთან, პარლამენტში ადგილობრივი ინტერესების წარმოჩენა).

ადგილობრივ ხელისუფლებაში საქმიანობის დროს ქაღები უფრო მეტად ზრუნავენ ამომრჩეველების სოციალურ კეთილდღეობაზე.

ნორვეგიაში ადგილობრივ საკრებულოებში ქაღთა ჩართულობის შესასწავლად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 1970 და 1980 წლებში ქაღთა წარმომადგენლობის გაზრდამ გააუმჯობესა ბავშვის მოვლის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივი საკრებულოების წევრთა 50 პროცენტს ქაღები შეადგენდნენ, ბავშვთა ზრუნვისკენ მიმართული ღონისძიებები მეტად იყო გათვალისწინებული.



მოქალაქეთა მონაწილეობის გზაწრა

დეცენტრალიზაცია იძლევა საფუძველს, რომ ხელისუფლება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი იყოს ამომრჩეველისთვის და მომსახურება უფრო გენდერულად მგრძობიარე გახდეს, რის შედეგადაც ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცემა ქაღთა საჭიროებებზე რეაგირების მეტი შესაძლებლობა.

მოქალაქეთა პრობლემების მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების რეაგირების გაზრდის მიზნით უნდა შეიქმას პროგრამები, რომლებიც ხელისუფლებას მისცემს საშუალებას, ჩამოაყალიბოს სისტემები უფრო ეფექტური ურთიერთქმედებისთვის.

დებისთვის ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეებსა და მოქალაქეებს შორის.

ადგილობრივ ხელისუფლებაში და ქაღთა ორგანიზაციებში ქაღების მხარდაჭერით, სპეციალისტებს შეუძლიათ გაზარდონ მოქალაქეთა მონაწილეობა მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამით ხელი შეუწყონ დემოკრატიის პროცესში ნდობის აღდგენას.

ადგილობრივ თვითმმართველობაში ქაღების მოღვაწეობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ამომრჩეველთა დამოკიდებულებაზე ქაღთა და გენდერულ საკითხებზე.

ინდოეთში, ოჯახების კვლევამ აჩვენა საოჯახო მოვალეობების განაწილება ოჯახის წევრებს შორის მას შემდეგ, რაც ქაღებმა მუშაობა დაიწყეს ადგილობრივ ხელისუფლებაში. ქაღები აღნიშნავენ, რომ მათ უფრო მეტად სცემენ პატივს ახლა, როდესაც მათ დაიკავეს თანამდებობები ადგილობრივ ხელისუფლებაში.

უფრო მეტიც, მონაწილეობამ პოლიტიკაში გაზარდა მათი თავდაჯერებულობა, სხვა ქაღებს კი მისცა სტიმული, წარმოეჩინათ თავი ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქაღთა წარმომადგენლობა - ან ნაკლები წარმომადგენლობა - ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქაღთა ლიდერობის მდგრადობაზე.

როდესაც ქაღები მსახურობენ ადგილობრივ ხელისუფლებაში, ისინი იძენენ გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს მათ, გახდნენ ხელმძღვანელები ცენტრალურ დონეზე.

ადგილობრივ დონეზე ქაღების მხარდაჭერა ხელს უწყობს ეროვნული დონის ლიდერების მომავალი თაობის მომზადებას.

ინგლისურიდან თარგმნა

პირანდა

ჯვანცილაძე

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი ბელაშვილი

კორესპონდენტები - მანანა ლეჟაშვილი

ნათო ჩხორთოლია

ფოტო - მანანა ლეჟაშვილი

დიზაინი - ლია კოსტავა

რედაქტორი - ლალი შენგელია

მისამართი: ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ. (+995) 431 27 29 02

ფაქსი: (+995) 431 27 13 68

ელფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ-გვერდი: www.fundsokhumi.ge

დაიბეჭდა „მბმ- პოლიგრაფში“

ქუთაისი, წერეთლის 186

វិសិទ្ធភណ្ណ លទ្ធភណ្ណ

